წელიწადი I-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. ხარასკევი ნოემბრის 3—(16) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლირს . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . [illegible]
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ლირს ერთი ორად
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ არა
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ.
6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და სალამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 166 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 166

ღრმათ დამწუხრებულნი: ქალიშვილი ლიდა თედორეს ასული მოსეშვილისა, შვილები: ალექსანდრე, ვარლამ, და იაგორ თედორეს ძენი ეძგვერაძეები, სიძე ვლადიმერ სიმონის ძე მოსეშვილი, შვილის-შვილები: თინათინ, ტატიანა, ლილი, ნინა და ალექსანდრა ვლადიმერის ასულნი მოსეშვილები და ნადია ეძგვერაძე, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პირველ ნოემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## მაიკო გრიგოლის ასული ეძგვერაძისა,

დაბადებით ბაჩილავა. დაკრძალვის დღეთ დანიშნული გვაქვს 4 ნოემბერი, 1917 წ. ს. გუბში, საკუთარ ოჯახში.

---

კვირას, 5 ნოემბერს **ს. ბანძაში** დილის 11 საათზე და **ქ. ახალ-სენაკში** საღამოს 7 საათზე

## ვასილ წერეთელი წაიკითხავს ლექციას

შემდეგ თემაზე: **„ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა, დღევანდელი მომენტი, არჩევნები დამფუძნებელ კრებისთვის და საჭიროება ქართული ეროვნული ყრილობის მოწვევისა“.**

დასწრება შეუძლია არა წევრთაც. ლექციის შემდეგ შეიძლება სხვა და სხვა კითხვების მიცემა.

---

## საჭიროა გამოცდილი კორექტორი

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში.

---

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

---

## განცხადება.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ (წყალ-გამოღმა) უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე ყოველ დღე დილის 11—2 საათამდის: თბილისის ქუჩა ქუთაისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების დარბაზში—სამსონ ბოკერიას სახლში. აქვე შეიძლება პარტიული პროგრამებისა და ლიტერატურის მიღება.

---

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და სალამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

---

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და სალამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამზღვევ საზოგადოების სააგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

---

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და სალამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

---

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია საპნის **სოდა** და საპნისთვის ქონის მაგიერი საშვალება **„ქიროლინი“**, აგრეთვე ყოველივე მისთვის მასალები, ფასები ზომიერია.

---

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.** იღებს შინაგანი, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. სალამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

---

**ექიმი**

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და სალ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

---

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და სალამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

---

## განცხადება.

ქუთაისი, გოსპიტლის ქუჩა, ჰეიშვილის სახლი, მიხეილ კაშიას მიმართეთ ვისაც თვალები გტკივათ ანუ თეთრი გაქვთ გადაკრული, რომელმაც მე მომირჩინა თვალის ტკივილით დაბრმავებული ბავში უოპერაციოთ. ამისათვის ვაცხადებ, ვწერ მადლობით და პატივისცემით ვარლამ ჯანელიძე.

---

## პარტიათა გაერთიანებისათვის.

ყველამ იცის უკვე, რომ რუსეთი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იწვის. ბევრი ამას სოციალისტურ რევოლუციის დაწყების ნასახად სთვლის, მაგრამ რა მოეთხოვება ისეთ ხალხს, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს ცხოვრების ლოღიკურ გზით სიარულს, მის ბუნებრივად განვითარების მიმდინარეობას.

შემდეგ შეიძლება ბევრი ცრემლებიც დააფრქვიონ დამწვარსა და ნაცარ-მტვრად ქცეულს რუსის ერს, მაგრამ გვიანღა იქნება. დღესდღეოეით კი იმ ფაქტის მოწმენი ვართ, რომ ძმა ძმასა ჰკლავს, დედა შვილს, შვილი მამას და მეგობარი მეგობარს. გუშინდელი მარტოდენ კამათებითა და წერილებით მებრძოლი ამხანაგები დღეს ჯავშნიანი ავტომობილებითა და ტყვიის მტყორცნელებით იბრძვიან, ღვრიან ერთი მეორეს სისხლს და აქრობენ საუკუნოებით შექმნილ ღირებულებათ.

ჩვენი საქართველო კი ამ დროს მშვიდად, წყნარად და შეგნებულად მიდიოდა რევოლუციურ შემოქმედების გზით. მან დაივიწყა თავისი თავი, საუკუნოებით განაწამები ქართული მიწა-წყალი და თავისი საუკეთესო შვილებიც რუსეთის სახელმწიფოებრივ იდეიას, რუსის ერის არსებობასა და ცხოველ მყოფელობას მიუტანა სამსხვერპლო ზე დასაწვავად.

ველიკორუსეთის ფსიხოლოგია ისეთი იყო და არის, რომ ალმშენებლობით პროცესის წარმოება მას ყოველთვის უჭირდა. მან თავისი ისტორიის პირველ ხანშივე მოიწვია უცხო ტომის მთავარნი და გამოუცხადა მათ: „ჩვენი მიწა-წყალი დიდი და უხვია, მაგრამ არა გვაქვს წესი და რიგი. მოდით, რათა გვფლობდეთ და გვბრძანებლობდეთ ჩვენ“-ს. რამდენიმე საუკუნის შემდეგ რუსეთში თან და თან თვით მპყრობელური წესი დამყარდა და ეს თვით მპყრობელური წესი ბოლო ხანებში უკიდურეს ძალადობის ორგანიზაციად იქცა და მთელი რუსის ხალხს და ყველა მასთან დაკავშირებულ ერს დაბეჩავებას და დაღუპვას უქადიდა. ხალხის აღშფოთებამ და ომმა დასცა თვითმპყრობელობა და რუსის ერს, თუმცა მეტად მძიმე პირობებში, მაგრამ მაინც საშუალება მიეცა სახელმწიფოებრივ შემოქმედებისათვის. მაგრამ, საუბედუროდ, მან ვერ გამოიჩინა შემოქმედებაში სათანადო ფხა და უნარი. ორი კვირაღა დარჩენილიყო იმ დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, რომელსაც უნდა მოეწყო და მოეგვარებინა ბევრი თავსამტვრევი და სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვები.

მაგრამ ბუნებამ თვისი გაიტანა. ვერ დაიფარა რუსეთ ანარქიისგან წერეთელ—ჩხეიძე—კერენსკის ცდამ და თავდადებულმა მოქმედებამ. ვულკანისებურმა ალმა აღმოხეთქა და დღეს თუ ხვალ თვის გახურებულ სითხის აზობაქრებულ ტალღებს ქვეშ მოაქცევს მთელს რუსეთს. მაქსიმე გორკი, უკვე, სანამ რევოლუცია დაიწყებოდა, შემდეგსა სწერდა ერთ-ერთ თავის წერილში: „რუსის ხალხი ორგანიულად მიისწრაფვის ანარქიისკენ. ის პასსიური არის, მაგრამ სასტიკი, როდესაც მის ხელში ძალა-უფლება ჩავარდება. მისი განთქმული გულკეთილობა-კარამაზოვის სენტიმენტალიზმია; ჰუმანიზმი და კულტურა მის გულში ნიადაგს სრულებით ვერ პოულობს!“

ამას ამბობს რუსის ერის მესაიდუმლედ ცნობილი მაქსიმე გორკი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი აზრის იყვნენ რუსეთის შესახებ პოლონელები, ფინები, უკრაინელები და სხვა მრავალნი, და ამიტომ სათანადო გზასაც დაადგნენ თვისი ერისა და რუსეთის მიმართ. მათ თვითვე მოჰკიდეს ხელი თვისი შინაური საქმეების მოწყობას და დღესაც მედგრად და შეუპოვრად იბრძვიან სიტყვით და საქმით საკუთარი ერის, საკუთარი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

სომხებიც კი, ასე გასინჯეთ, ის სომხებიც, რომელთა ტერიტორია საოცრად დასერილია მთლიანობის მხრით, არსებითად იმავე პოლიტიკას ადგიან, როგორსაც უკრაინელები და სხვები. ხოლო როგორ? არა რევოლუციურად, არა საჯაროდ, არამედ დიპლომატიურად. სომეხმა იცის, რომ ის სომეხია და მიჰყვება კიდეც იმათ, რომელნიც წმინდა ეროვნულ ნიადაგზე სდგანან. მათ ყველაფერი მოაწყეს უყვირლად, ჩუმად. ერზინკიანი, ჩვენს სოციალ-დემოკრატებთან რომ ერთად მუშაობს! სომეხთა ეროვნულ საბჭოს წევრია და ეს მას ხელს არ უშლის სოციალ-დემოკრატად დარჩეს. რაღა ითქმის სომხურ თუ არა სომხურ პარტიებზე, რომლებშიც სომხები შედიან. ეროვნულ საქმეს კი აკეთებენ სომხები, და ამავე დროს კადეტების „ლიუბიმჩიკებიც“ არიან რისთვის ვითომ? ან დროებით მთავრობა რად სწყალობს მათ უფრო? ან სკობელევის „ნაკაზში“ რად იყვნენ მოხსენებული? ეს ყველაფერი მათი მუშაობის ნაყოფია. ისინი არიძახიან, რომ ქართველებს არაფერი ვაწყენინოთ და არ დავსჩაგროთო.

ჩვენ კი გამუდმებით იმის მტკიცებაში ვართ, რომ თუ „უოპეკუნოთ“ მოურეთ ჩვენს თავს, ეს არა დემოკრატიული მოქმედება იქნება და სომხებსაც ვაწყენინებთო.

ყოველივე ეს სხვათა შორის, ხოლო ახლა რომ შეუფერებელია მარტო სხვის მეგობრობაზე ფიქრი, ხოლო საკუთარი თავის დავიწყება, ეს ცხადზე უცხადესია. ამბობენ პეტროგრადი და მოსკოვი მოსწყდა რუსეთის სხვა ნაწილებსო. ფაქტია, რომ მოქალაქობრივ ომს არა თუ დასასრული არ უჩანს, პირიქით, ეხლა გადასდგა პირველი ნაბიჯი „გაღრმავებისათვის“. რუსეთის მოწყობა და ნორმალ კალაპოტში ჩაყენება არ არის ახლო მომავალში მოსალოდნელი..

დამფუძნებელი კრება შეიძლება ოცნების საგნად და გარდაიქცეს და ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა? რა ჰქნან ქართველებმა, თუ რუსეთმა რევოლუცია ვერ მოაგვარა და ვერ გამოიყენა? ჩვენ ხომ უკანასკნელ მომენტამდი დავივიწყეთ ჩვენი თავი და მხოლოდ და რუსეთის ბედნიერებაზე ვფიქრობდით? ჩვენ ვერ წავალთ და არც წავსულვართ იმ გზით, რა გზითაც რუსეთში მიდიან. ჩვენ ღირსნი ვართ თავისუფლებისა, მომწიფებულნიც ვართ მისთვის და გვწყურია კიდეც იგი. რა ვქნათ, რა ზომებს მივმართოთ, რომ ეს თავისუფლება ხელიდან არ გაგვისხლტდეს?

**ძალა—ერთობაში არისო,** უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და ეს თქმა უკვდავ ჭეშმარიტებად არის ქცეული.

საქართველოში არსებულ პარტიათა შორის ჯერ კიდევ დიდი განხეთქილება სუფევს. ეს კი ეხლა, ამ საბედისწერო ჟამს სამშობლოს ინტერესებისათვის მავნე და შეუწყნარებელია. ამას ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა ეჭირვება. შეუძლებელია ეხლა შეურიგებელ საპარტიათაშორისო პოლიტიკის წარმოება მხოლოდ იმიტომ, რომ ერთს მიწის მუნიციპალიზაცია, სოციალიზაცია, თუ კერძო საკუთრება მოსწონს. ყველა ასეთი რთული კითხვების გადაწყვეტა სრულიად, ქართველი ერის

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარიამ დავითის ასული ანდრონიკოვისა შვილებითურთ, დები: მარიამ გაბრიელის ასული ბალაბანოვისა და ანნა გაბრიელის ასული ხარაზოვისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

## ივანე გაბრიელის-ძის ანდრონიკოვისას,

რომლის დაკრძალვა მოხდება 5 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, (ძველი დროით) ხოჯივანქის სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან (ივანოვის ქუჩა). პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. (ძველი დროით.) დაკრძალვაზე მისაპატიჟებელი ცალკე ბარათები არ დაიგზავნება.

კომპეტენციას შეადგენს ყველას სურვილი უნდა დაუმორჩილდეს სურვილს ერისას, რომელიც საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე იქნება მტკიცედ გამოთქმული.

**ჯერ ჯერობით კი** ამ საქართველოს დამფუძნებელ კრებას წინასწარი სამზადისი სჭირია. საქართველოს სისხლის ზღვა უნდა ავაშოროთ და მისთვის ვემზადოთ. პირველი ეტაპი ამ სამზადისა უნდა იქნეს საქართველოში მომქმედ **პარტიათა ერთ პლატფორმაზე გაერთიანება.** ეს გზა თავიდან აგვაცდენს ყოველგვარ მოულოდნელობას და ვეღარ გავიგონებთ იმ დაქსაქსულსა და ერის მიერ შეუხორცებელ ხმებს, რომელიც აგერ რვა თვეა არა სასიამოვნოდ ხვდება ყურს და რომელმაც შესაძლოა ისეთივე ბედი გვარგუნოს, როგორც რუსეთს.

სიჩუმემ, დაყოვნებამ, არ დაფიქრებამ და თვალთა დახუჭვამ სინამდვილეზე, ბევრი მოაკლო როგორც ქართველ ერს, ისე თვით პარტიებს.

ქართველი ერი ვერ შეურიგდება იმ გზას, რომელითაც თავწასრყოფილ შავრაზმელებს და კონტრ-რევოლუციონერებს მიჰყავთ რუსეთი.

ჩვენმა პარტიებმა უნდა გაითვალისწინონ ეს და გულმოდგინეთ შეუდგნენ საერთო, საქვეყნო საქმეს.

**ინ— ხანი.**

## სამოქალაქო ომი.

რუსეთიდან ნამდვილი ცნობები ჯერ კიდევ არ მოდის.

არ ვიცით აქ ტელეგრაფის გაფუჭებას აქვს მთავარი მნიშვნელობა, თუ დრ. მმართველობის „სიფრთხილეს“ რომლის მიზანიც არის ფართე მასას არ მიაწოდოს უტყუარი ცნობები „მომხდარ ამბების“ შესახებ.

ამ შემთხვევაში ახალი რევოლუციური მთავრობა ძველი მმართველობის გზას ადგია, რომელიც სასტიკათ ერიდებოდა თავის მოქმედება ხალხისათვის გაემჟღავნებია.

სჩანს არც აწინდელი მმართველობა სთვლის ხალხს შესაფერ მომზადებულათ და ღირსათ, რომ მას სახელმწიფოს ყოფა ცხოვრების პირ ვარამი განუმარტოს. მაგრამ ამაზე აღარ გავაგრძელებთ ლაპარაკს.

კერძო დეპეშებით კიევიდენ და დონის როსტოვიდან მოსული ცნობები სამოქალაქო ომის დაწყებას გვაუწყებენ.

პეტრეს ქალაქში ებრძვიან იუნკრებს, ყაზახებს, მოუკლავთ 500 მეზღვაური მოსკოვში სახლს თავებზე ტყვიის მფრქვევლები დაუდგამთ და მოქალაქეთ ხოცავენ. დრ. მმართველობა ბრძოლის ველიდან დასახმარებლათ მოუწოდებს ლაშქარს. სამოქალაქო ომი სწარმოებს. ამავე დროს დრ. მმართველობას ლოდუხინი ატყობინებს, რომ გერმანელებმა ერთ ერთ ფრონტზე ძლიერი შემოტევა დაიწყეს. ეს ცხელზე დუღარის დასხმაა.

ბოლშევიკებმა შესძლეს შეუგნებელ მასის ფსიქოლოგიის გავლენის მოპოება და თავის მიზნის განხორციელებასაც შეუდგენ.

თუ რუსეთის რევოლუციას ეძახოდენ უსისხლოს, დღეს ეს ასე აღარ არის, სამოქალაქო ომის სისხლი უკვე დაიქცა.

რუსეთის ცხოვრება იმდენათ არეულია გართულებული და ყოველ მხრივ კრიზისში მყოფი, რომ ზე ნიჭით და ენერგიით უნდა იყოს დაჯილდოვებული ის მმართველობა, რომელიც ამ ხანათ ქვეყანას უშველის.

პუნქტუალურათ, რომ განვიხილოთ ბოლშევიკების მრწამსი, შევეხოთ მათ ალმშენებლობითი შემოქმედებით ნაწილს, დავრწმუნდებით, რომ მათ რუსეთის ქაოტიურ ყოფისთვის თავის მოვლა არ შეუძლიათ. ახლა საინტერესოა, ვინ გამოვა ბოლშევიკების შემდეგ ასპარეზზე და ვინ მიიქცევს ყურადღებას.

კრიზისი უფრო გაიზრდება და გაფართოვდება. რუსეთის სახელმწიფოებრიობა როგორც ასეთი ისპობა.

პატარა ერებს შემდეგი დილემა დაუდგათ.

ან საკუთარი თვითმოქმედებით და ძალით საკუთარ სიცოცხლის შენარჩუნება ან და რუსეთის ანარქიულ ცეცხლში დაწვა.

**რეს.**

## ქართული პრესა

### მომენტი და საქართველო.

ადვილი ასახსნელია, რომ რუსეთის არა თუ ეთნოგრაფიულად და ეროვნულად მთლიანმა ერებმა, არამედ პროვინციებმაც კი შეატყვეს რა, რომ დიდი რუსეთის მზე თანდათანობით ბურუსში და ნისლში ეხვევა, ისეთ გზას დაადგნენ, რომელმაც ისინი მაინც უნდა გადაარჩინოს იმ აღვირ-ახსნილობასა და ყოველივე დარებულებათა მომსპობ ანარქიას, რუსეთს რომ მოედო. ცეცხლი წაეკიდა სახლს და ყველა ცდილობს საკუთარი ცხოვრების საკუთარი განძეულობის და საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებას. ქართველებს ყოველთვის გვთვლიდნენ კულტურულად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომად, ვინემ ჩაჩნებს, რომლებმაც უკვე საკუთარი რესპუბლიკა გამოაცხადეს და მთიელებს, რომელნიც თავსაშველად შეერთდნენ და შეკავშირდნენ.

ამ დროს კი ჩვენი აზრი, ფიქრი, გრძნობა და ნება, მაინც ზღვა-სისხლად ქცეულ პეტერბურგისაკენ არის მიქცეული და ის კი დაგვავიწყდა, რომ რუსეთში შექმნილი საერთო ქაოს წყვდიადი ჩვენც მსხვერპლად შეგვიწირავს, ყველაფერს დაანგრევს.

სრულიად საბუთიანად და დროულად მიგვაჩნია ამიტომ გავაცნოთ ჩვენს მკითხველებსაც ის აზრი მომავალი მოქმედების შესახებ, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ არის გამოთქმული.

„რამდენიმე დღეა, რაც მთელი კავკასია მოწყვეტილია რუსეთის პოლიტიკურ ცენტრს და იჭვნეულ ფიქრში სცხოვრობს.

არ ვიცით ვინა სძლევს პოლიტიკურ ბრძოლის ველზედ, ან რა დაქანება მიიღო რუსეთის საერთო მდგომარეობამ.

ცნობები უცნაური და ერთი-მეორის წინააღმდეგი, გაუგებარი დაუმოწმებელი ავსებენ ქუჩის ხმაურს და გონება ძნელად სჭრის ამ გაქლენთილ ჰაერს.

საერთო აზრი კი ერთია: არავისთვის აღარ შეიძლება სათუო იყვეს, რომ რუსეთი მოწყვეტილია მშვიდ ნაპირს და აბობოქრებულ ზღვას არის მიცემული. შეიძლება ერთი ფრთის გამარჯვება ხვალ მეორემ შესცვალოს, ხოლო ზეგ მესამეს გაულიმოს მეუფების ვარსკვლავმა, მაგრამ რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობა დარღვევის პროცესშია და თანდათან შლის თავის სულიერსა და ფიზიკურს ძლიერებას.

თავის შინაურ სიმტკიცესთან ერთად სოლიდარი დაქანებით ეშვება იგი საერთაშორისო სასწორზედ და ერთი მეორეზედ მის თავზედ ახალი და ახალი ხმალი იმართება.

რას გვავალებს ჩვენ ესეთი მდგომარეობა? ერთია აშკარა, რომ ძველი დაბინდული თვალით ვერ მივეცემით ამ საერთო უფსკრულისაკენ ლტოლვას და მდგომარეობა დაჟინებით გვავალებს ღრმა სინამდვილის წინაშე ფხიზელი თვალის ახსნას.

მდგომარეობა თვით ქმნის შეგნებას და დაჟინებით ბრძანებას ამა თუ იმ გზის აღებისათვის, რომლის ახვევა ხანდისხან საუკუნოთათვის გარდამწყვეტ შეცდომაში აგდებს ერს.

ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველოში ყველა მომქმედმა პარტიამ და ისინი, ვინც ჩრდილოეთის ნისლში ჰპურავენ საკუთარ შეგნებას, გაათბონ თავისი სიტყვა საქართველოს მხრითაც.

ფხიზელი დარაჯობა საქართველოს ბედის, და გონიერი შეგნება მდგომარეობისა უნდა იქმნეს საქართველოს საერთო ლოზუნგი.“

არასოდეს ისე მწვავედ არ დაყენებულა კითხვა სრულიად ქართველი ერის შეერთებაზე, როგორც დღეს და არც არასოდეს ყოფილან ჩვენში მომქმედი პარტიები ისე პასუხისმგებელი მთელ ქართველი ერისა და მის მომავლის წინაშე, როგორც დღეს.

შეერთება და გაბედული ნაბიჯების გადადგმა ჩვენი პარტიების მიერ—აი უპირველესი საჭიროება დღევანდელ მომენტში.

* *

გაზ. „ერთობა“ ეხება რა პეტროგრადში მომხდარ ამბებს და ითვალისწინებს მოსალოდნელ უახლესში მდგომარეობას სწერს:

რუსეთში სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ამჟამათ მთავრობა აღარ არსებობს. კერენსკი თავისი ჯარებით, რომლითაც პეტროგრადის ალებას აპირებდა, ფრონტისაკენ იხევს. პეტროგრადი ისევ ბოლშევიკების ხელშია.

ანარქია იწყება. ბოლშევიკები სუსტი არიან მთელი რუსეთის დემოკრატია მიიმხრონ და ამ გზით ქვეყნის სრული ნდობით აღჭურვილი მთავრობა შექმნან მეორე მხრივ კერენსკი ამათ ცდილობს სახელმწიფო ძალა-უფლების უკან დაბრუნებას. ასე თუ ისე ხანგრძლივი სამოქალაქო ომი იწყება. ეს ემუქრება რუსეთის რევოლუციას და სახელმწიფოს დეკომპოზიციას უმზადებს.

რა გზას უნდა დაადგეს სოციალ-დემოკრატია ამ პირობებში?

ჩვენი მიზანი რევოლუციის ხსნა და დემოკრატიის მოთხოვნილებათა სავსებით დაკმაყოფილებაა. ამ ჟამათ ეს შეიძლება ანარქიის ალაგმით და ადგილობრივი ცხოვრების მოწესრიგებით. რუსეთი ფაქტიურათ რამდენიმე ოლქათ დაიყო. დემოკრატიის ვალია თვითეულ ოლქში რევოლუციონური წესრიგი განამტკიცოს. ანარქია ალაგმოს და რევოლუციის საბოლოო გამარჯვებას ნიადაგი მოუმზადოს. ეს შეიძლება ადგილობრივ პარტიათა და ერთა შეთანხმებით და საერთო გზის გამონახვით.

ამიერ კავკასია განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება. აქ მრავალი ერი ბინადრობს. ამას დაურთეთ დიდძალი ჯარი, რომელიც ფრონტზე და თვით ამიერ კავკასიაში იმყოფება და თქვენთვის აშკარა იქნება, რამდენათ ძნელია ამ პირობებში წესრიგის დაცვა და რევოლუციის განვითარებისათვის ხელის შეწყობა. მოიგონეთ 1905—6 წლის ისტორიული ამბები- სომეხთა-თათართა ჟლეტამ რევოლუციას ნიადაგი გამოაცალა და მისი დაცემა გამოიწვია, ეს გვიკარნახებს, ეროვნებათა შორის შეთანხმების აუცილებლობას. მეზობელ ერთან მჭიდროთ დაკავშირებულ ერთ ადგილას წესრიგის დარღვევა საერთოდ არეულობას ამზადებს. ამიტომაც არის კავკასიის დემოკრატია ვალდებულია საერთო ენა გამონახოს და ერები საერთო პლატფორმის გარშემო შემოიკრიბოს. ანარქია იზრდება, ვინაიდან ადგილობრივ სუსტია მთავრობა და მისი ძალა-გავლენა კავკასიის საგანგებო კომიტეტი მოკლებულია საკმაო ნდობას და ძალა-გავლენას ჩვენი ვალია ადგილობრივ მთავრობის საკითხი ფართოთ წამოვაყენოთ და რევოლუციონურ პარტიებთან და ერებთან შეთანხმებით შევქმნათ ისეთი მთავრობა, რომელსაც საყოველთაო ნდობით მოეპყრობიან და რომელიც ხელს შეუწყობს წესრიგის დაცვას და რევოლუციის განვითარებას. ჩვენ თავიდანვე მოიხრე ვიყავით კავკასიის ერთა შეთანხმებისა, ეს განსაკუთრებით საჭიროა ამხანათ გარეშე შეთანხმებისა ამიერ კავკასიის ცხოვრება სავსებით აიწეწდაიწეწება და ჩვენ ანარქიის მსხვერპლი გავხდებით ამ ნიადაგზე ჩვენ არა ერთი და ორი დაბრკოლება მოგველის. ნაციონალისტური პარტიები შეთანხმებას მუდამ თავისებურათ უცქერიან. ისინი არსებითად ეროვნებათა შორის შუღლსა და მტრობას იცავენ. თუ ხანდისხან შეთანხმებაზე ალაპარაკდებიან, ეს მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ასეთი შეთანხმება მათი პოზიციის გაძლიერებას ემსახურება. იყო დრო, როცა სომხის ნაციონალისტები კავკასიის დემოკრატიის ზურგს უკან აწყობდენ თავიანთ საქმეებს. მაშინ მათ იმედი ჰქონდათ ცრუებით მთავრობას, ეხლა მდგომარეობა გამოიცვალა და განზე გადგომას უფრო ადრე თათარ ნაციონალისტებისაგან უნდა ველოდეთ.

მომენტი მეტათ სერიოზულია. რევოლუციის ხსნა დემოკრატიის ხელშია. თუ ის ადგილობრივ შესძლებს რევოლუციონურ პარტიათა და ეროვნებათა შეთანხმებას, ის ნიადაგს მოუმზადებს ჩვენში რევოლუციის გაძლიერებას, ხოლო ეს მთელი რუსეთის დემოკრატიის ხელის შეწყობა იქნება, არა და ჩვენი მხარეც ანარქიის მსხვერპლი გახდება.

ეროვნებათა შეთანხმება რევოლუციონური დემოკრატიის მეთაურობით —ასეთია მომენტის მოთხოვნილება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დემოკრატია თავის მოვალეობას პირნათლათ შეასრულებს და რევოლუციას ახალი საფრთხისაგან დაიხსნის.

---

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტ...

# სია № 8

## რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის

1. **კედია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **ვეზირიშვილი** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი—მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ჟურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი,
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო გიმნაზიისა,
12. **ნიჟარაძე** რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

---

## ბოლშევიკების აჯანყება

### დეპეშები.

დეპეშები კიევს სააგენტოს განყოფილებიდანაა გამოგზავნილი. სრულიად რუსეთის ფრონტის ყაზახთა ყრილობის თავმჯდომარის საპატიო ამხანაგი ივანოვი პირდაპირი მავთულით დალაპარაკებია დონის როსტოვში, მოსკოვში. პეტროგრადში და უმაღლეს მთავარსარდლის ბანაკში. ცნობები ოქტომბრის 28-ში მომხდარ ამბებს შეეხება.

**როსტოვისა და სარატოვკს მდგომარეობა**

როსტოვში ყველა ყაზახთა ჯარებში სიმშვიდეა. სარატოვში დიდი სროლაა. ალაგ-ალაგ ტყვიის მფრქვევლებსაც ამოქმედებენ.

**პეტროგრადის მდგომარეობა.**

პეტროგრადიდან იტყობინებიან: გენერალ დუხონინმა მოითხოვა კერენსკის პეტროგრადში ჯავშნიანი მატარებელი მიაშველეთო. ბოლშევიკებმა ცენტროფონტი შეიპყრეს და კრონშტადში გაგზავნეს, ქალაქში ვაგზლების მხრიდან ტყვიის მფრქვეველთა ხმა ისმის, ღვინობისთვის 28-ს დილის 6 საათზე წითელ გვარდიელების რაზმმა და მეზღვაურებმა ყაზახთა კავშირის საბჭოს ბინა დაიჭირეს. საბჭოს წევრთა დაჭერა ვერ მოახერხეს. ყაზახთა 3 პოლკმა რეზოლუციები გამოიტანეს მხარს მხოლოდ დროებით მთავრობას დაუჭერთო. პეტროგრადის მცხოვრებთა შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. მცხოვრებლები მეტად აღელვებულნი არიან. ცარსკოე სელოს მცხოვრენი დროებით მთავრობის ჯარს დაემორჩილა.

**ლენინის დეკრეტი.**

ლენინმა გამოსცა დეკრეტი მიწა ხალხის ხელში გადაეცითო! ელიან ბანკების მუნიციპალიზაციის ანდა ნაციონალიზაციის შესახებ ახალ დეკრეტის გამოცემას.

**10 მილიონის მოთხოვნა.**

სახელმწიფო ბანკს ახალ მართველებმა 10 მილიონი მანეთი მოსთხოვეს, მაგრამ საწყობები არ გაუღეს.

**ბოლშევიკების თარეში.**

პეტრეპავლეს ციხეში ბოლშევიკურ მთავრობამ დახვრიტა 3 იუნკერი, რომლებიც საზამთრო შენობის ხელში ჩაგდების დროს შეიპყრეს. პავლეს სამხედრო სასწავლებლის იუნკერებზე ბოლშევიკები ისე ნადირობენ, როგორც მხეცებზე. მხოლოდ ბოლშევიკური გაზეთები გამოდის.

**სოციალისტ მინისტრების განთავისუფლება.**

პეტროგრადიდან მოსულ ცნობებით, სოციალისტი მინისტრები ციხიდან გამოუშვიათ.

**გატჩინოს მდგომარეობა და პეტროგრადის მცხოვრენი.**

გატჩინოდან იტყობინებიან, ბოლშევიკების აჯანყება მთლად ჩავაქრეთო. პეტროგრადის მცხოვრენთა. ერთი ნაწილი უკვე დაემორჩილა დროებით მთავრობას.

**მთავრობის ჯარის შეტევა.**

პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ კრასნოე სელოში დროებით მთავრობის ჯარმა მარჯვე შეტევა დაიწყოო. ყაზახებს 500 მეზღვაური აუჩეხიათ. დროებით მთავრობის ჯარებმა კრასნოე და ცარსკოე სელო დაიჭირეს და ახლა ობუხოვისკენ მიდიან.

**პეტროგრადის მდგომარეობა ოქტომბრის 29-ში.**

ოქტომბრის 29-ს საღამოს 6 საათზე ქუჩებში ტყვის მფრქვეველთა გრიალი ისმის. იუნკრებმა ტელეფონის სადგური დაიჭირეს, მაგრამ მალე არტილერიამ დაალეწვინა. ბრძოლა გრძელდება. მთავრობის ჯარს მოელიან. იზმაილოვის პოლკის ჯარისკაცები საბრძოლველად გაემზადნენ. პეტროგრადის ტელეგრაფი ბოლშევიკებმა გაანთავისუფლეს. პეტროგრადი მთელს რუსეთზე მოწყვეტილია. მას შიმშილი ელის უცხოელი ელჩები პეტროგრადიდან არ წასულან. ვლადიმირის სასწავლებელს ბოლშევიკებმა საარტილერიო სროლა აუტეხეს. სასწავლებელი დანებდა. პავლეს სასწავლებელი ბრძოლას განაგრძობს.

**კიევის მდგომარეობა.**

კიევი. ოქტომბრის 31. კიევის თოფხანიდან ბოლშევიკებმა იარაღი გაიტაცეს. ბოლშევიკებსა და იუნკრებს ქუჩებში შეტაკება უხდებათ, არიან დაჭრილ-დახოცილებიც, ბოლშევიკებს დაპყრობილი სასახლე დააცლევინეს. ბოლშევიკების ლიდერები შეიპყრეს.

**ვორონეჟის ტელეგრაფი ბოლშევიკების ხელში.**

ვორონეჟში ტელეგრაფი ბოლშევიკებმა დაიპყრეს. ტელეგრაფის მოსამსახურეებმა ბოლშევიკების კონტროლის ქვეშ მუშაობა არ ისურვეს და შესწყვიტეს მუშაობა.

**ბრძოლა პეტროგრადში.**

სამშობლოსა და რევოლუციის თავდაცვის კომიტეტის ჯარებმა იუნკერთა ყველა სასწავლებლები და მიხეილის სასწავლებელი გაანთავისუფლეს, ხელთ იგდეს ზარბაზნებით შეიარაღებული ჯავშნიანი ავტომობილები და დაიბრუნეს ტელეგრაფონის სადგური. ბოლშევიკების ხელში დარჩა მხოლოდ პეტრეპავლეს ციხე და სმოლნი ინსტიტუტი.

## მსოფლიო ომი.

### პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

**გერმანელების შემოტევა.**

კომისარი ქვანოვი ოქტომბრის 30 ს თარიღით ატყობინებს დ. დ. დონსკოის: გერმანელებმა, რომელთაც ყველა ჩვენი შინაური ამბები კარგად შეუტყვიათ, (ამას ჩვენ მიერ დატყვევებული რადიოტელეგრამებიც მოწმობენ), დღეს, ღვინობისთვის 30-ს ძლიერი საარტილერიო სამზადის შემდეგ ფრონტის ერთ-ერთ ლაშქრის მარჯვენა ფრთაზე შემოტევა დაიწყეს და პირველ წყების თხრილები დაიჭირეს. სხვა ცნობები ჯერჯერობით არ არის. მოუწოდებ ყველას სამშობლოსა და თავისუფლების სახელით საპოქალმქო ომის ჩასაქრობად. დეპეშები დაუგზავნა შავიზღვის მთავარ კომისარს—სევასტოპოლში, მინსკის სამხედრო ოლქის კომისარს სმოლენსკში, პოლიტიკურ გამგეობას, პეტროგრადში სამშობლოსა და და რევოლუციის მხსნელ კომიტეტს—მოსკოვში, ქალაქის თავს—რუდნევს და სამხედრო წრეს—ნოვჩერკასკში.

**ხმები ალანდის კუნძულთა დაპყრობაზე**

კიევში ცნობა მოსულა, ხმები ალანდის კუნძულთა დაპყრობის შესახებ სინამდვილეს მოკლებულიაო.

**ომის გამოცხადება ავსტრიისადმი**

„მორნინგ პოსტ"-ს ვაშინგტონიდან ატყობინებენ: ვინაიდან ამერიკა მზადაა ყოველმხრივ დახმარება აღმოუჩინოს იტალიას, მას ავსტრიისადმი ომის გამოცხადება მოუხდება ეს კი მალე მოჰყვებაო.

**ფრონტის ჯარის სულიერი მდგომარეობა.**

„დენ"-ი სწერს, ჯარისკაცები მეტად გაიტაცა ზავისკენ ლტოლვილებამ. მეტად უყურადღებოდა სტოვებენ სხვა ყველა საკითხებს, აგრეთვე უგულოდ ეპყრობიან სამხედრო ორგანიზაციებში მუშაობას. პარიზის კონფერენციის საკითხს დიდ ინტერესით ეპყრობიან რუმინეთის ფრონტის აღმასრულებელ კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვენ, რომ სკობელევის ნაკაზში მოთავსებული საზავო პროგრამა, მიღებულ იქმნას დროებითი მთავრობის მიერ, როგორც რუსეთის რესპუბლიკის ოფიციალური პროგრამა.

დასავლეთ ფრონტის აღმასრულებელი კომიტეტი მიღებულ რეზოლუციით დაუყოვნებლივ ზავს მოითხოვს. პარიზის კონფერენციაზე, მათ რეზოლუციის თანახმად, უნდა დაისვას საკითხი საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე.

## არჩევნებისთვის.

პარტიული ორგანიზაციული მუშაობა დღევანდელ აუტანელ პირობებში აუარებელ ხარჯებს მოითხოვს.

გარდა ამისა უკვე კარს მოგვადგა დამფუძნებელ კრების არჩევნები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოვალეა არჩევნებში ენერგიული მონაწილეობა მიიღოს, რათა შეაძლებინოს ხალხს, გამოსთქვას თავისი მისწრაფება: საქართველოს თავისუფლება და ისეთი წესწყობილების დამყარება, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესებს არსებითად შეეფერება.

საარჩევნო კომპანიის გაწევა პარტიისაგან მეტად დიდ ნივთიერ სახსარს მოითხოვს.

ამისთვის მივმართავთ პარტიის ყველა წევრს და თანამგრძნობს, შემოიტანოს პარტიის კასაში შეძლებისადაგვარად თავისი წვლილი.

1) ბ-ნ ივანე პურადაშვილთან აზოვდონის კომერციულ ბანკში.

2) გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში, თბილისის ქ; ს. მიქელაძის სახლი.

გასწიეთ ყველგან აგიტაცია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ!

ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს! ყოველი შემოწირულება, რა რიგ მცირედიც არ უნდა იყოს იგი, საერთო საქმისათვის მეტად ძვირფასია.

**ქუთაისის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა**

---

# დათესეთ პური,

## დაზარდეთ ფრინველი

## და ოთხფეხი საქონელი,

## რადგან მსოფლიო შიმშილისა და გზების გაფუჭების გამო ჩამოტანის იმედი არ უნდა ვიქონიოთ.

---

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

**ქ-ნ კორძაიას ქალის კერძო გიმნაზიაში მომხდარ კონფლიქტის გარშემო.** როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, კორძაიას ქალმა რამდენიმე მასწავლებელი სამსახურიდან დაითხოვა იმისთვის, რომ მათ (მასწავლებლებმა) ჯამაგირების მომატება მოსთხოვეს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მასწავლებელთა კავშირმა. ამ საქმის გამოსარკვევად არჩეული იყო საგანგებო კომისია მასწავლებლებიდან. ამ კომისიამ 1 ნოემბერს დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა შემდეგი დადგენილება: კორძაიას ქალის სასწავლებლიდან დათხოვნილ მასწავლებლებს, რადგანაც მხოლოდ ეკონომიური მოთხოვნილების გამო იქმნენ დათხოვნილი, დაუბრუნდეთ მათ თავისი ადგილები და მათი ყოველივე მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქმნეს, ხოლო ეს სასწავლებელი გადავიდეს ან ქალაქის თვითმართველობის ხელში ან და მასწავლებელთა კავშირის განკარგულებაში, იმ პირობით, რომ კორძაიას ქალი დარჩეს ამ სასწავლებლის საპატიო წევრათ.

კომისიის ასეთი დადგენილება მასწავლებელთა კრებამ მოიწონა და დაადგინა: არჩეულ იქმნას კომისია 3 წევრისაგან, რომელიც დადგენილებას სისრულეში მოიყვანს. აგრეთვე კრებამ სასურველათ დაინახა, რომ ახლად მიწვეულმა მასწავლებლებმა ძველი მასწავლებლების წინაშე, ბოდიში მოიხადონ სამი დღის განმავლობაში და ამას თუ არ ინებებენ იმ შემთხვევაში გამოეცხადოთ მათ პრესის საშუალებით სასტიკი პროტესტი.

◆ **სადგილ-მამულო კომიტეტში.** ქუთაისის საგუბერნიო სადგილო-მამულო კომიტეტმა მაზრის სადგილ-მამულო კომიტეტებს წინადადება მისცა, რომ ყველა რაიონებში დაარსდეს სადგილ-მამულო კომიტეტები და აგრეთვე აცნობოს სამაზრო კომიტეტის შემადგენლობის კომისიის წევრების პირადი ვინაობა.

◆ **ქალაქის თვითმართველობაში** დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში შესდგება ქალაქის საბჭოს სხდომა. ამ სხდომაზე სხვათა შორის გაირჩევა საკითხი შრომის ბირჟის დაარსების შესახებ.

◆ **ოქმები.** ქალაქის სანიტარულმა ექიმმა ლორთქიფანიძემ უსუფთაობის გამო ოქმი შეუდგინა სვა და სხვა პირებს.

◆ **სურსათი.** გუშინ ქუთაისის ბაზარზე ფუთი სიმინდის ფქვილი ფასობდა 13 მანათად ლობიო 30 კი მანათად.

◆ **რეკვიზიცია.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა რამდენჯერმე მიმართა ოცხელის ფირმას ვორონცოვის ქუჩაზე, რომ თავისი სავაჭრო დაეთმო სასურსათო კომიტეტისათვის ფართლეულობის საწყობათ, მაგრამ, როდესაც ოცხელმა ასეთი წინადადება არ დააკმაყოფილა; სასურსათო კომიტეტმა დაადგინა ოცხელის სავაჭროს რეკვიზიცია მოახდინოს.

◆ **კაბარე.** დღეს, საღამოს 9 საათიდან, ქართულ სამხედრო კავშირის „საჩიეში" გაიმართება კაბარე. ახალგაზდა მგოსნების მიერ ექსპრომტათ წარმოითქმება ლექსები. იქნება აგრეთვე სიმღერები და დაუკრავენ პიანინოზე.

◆ **ადგილობრივი შალის ჩამორთმევა.** გუშინ ქუთაისის სადგურზე, ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელმა სხვადასხვა ვაჭრებს ჩამოართვა 2,100 ნაჭერი ადგილობრივი შალისა, რომელიც უნდოდათ ყალბი მოწმობებით ქუთაისიდან გაეზიდათ.

◆ **ახალი ჟურნალი.** ამ დღეებში ქუთაისში გამოვა სალიტერატურო ჟურნალი „აისი", მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზდა მგოსნები და ბელეტრისტები.

◆ **საღამო.** დღეს, 3 ნოემბერს, კლასიკურ გიმნაზიაში ამავე სასწავლებლის მოწაფეები გამართავენ საღამოს, წარმოდგენილი იქნება „დაჭრილი ორბი" ს. ერთაწმინდელისა და „იასონის ოინები" ი. გომართელისა.

◆ **მოსამსახურეების ჯამაგირების მომატების შესახებ.** ამას წინათ ქალაქის სხვადასხვა, დარგის მოსამსახურეებმა მოთხოვნილებანი წარუდგინეს ქალაქის გამგეობას, რომ მათთვის ჯამაგირები მოემატებინათ. ეს მოთხოვნილება ქალაქის გამგეობამ გადასცა ქალაქის წევრს ი. თევზაძეს და დაავალა საბჭოს მორიგი კრებისათვის მოხსენება გაეკეთებია.

◆ **პარტიაში.** გუშინწინ 7 ნახ. საათზე რეალურ სასწავლებელში დანიშნული იყო ლექცია ბ. ვასილ წერეთლისა და ალექსანდრე თორაძის 7 საათზე დარბაზი საკმაო ხალხით გაივსო. მრავლათ იყვნენ ჯარის კაცებიც კოწია ლომთაძემ ლექციის წინ განიხილა ძირითადი დებულებანი მოწინააღმდეგე პარტიების პროგრამებისა. შემდეგ ლექცია ბ. ვასილ წერეთელმა წაიკითხა ეროვნულ საკითხზე და სამოქმედო ტაქტიკაზე დამფუძნებელ კრების შესახებ მოხსენება გააკეთა ალ. თორაძემ. ორივე ლექტორი მოითხოვდენ სრულ უფლებიან ავტონომიას და არა ისეთ ავტონომიას რომელიც უფრო ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას ჰგავსო. წერეთელმა ლექციაში აღნიშნა ჩრდილო ამერიკის შტატების და შვეიცარიის კანტონების ფედერაციის დაარსების პირობები და ხაზი გაუსვა რომ რუსეთში არც ერთი ეს პირობათაგანი არ ჩანს და ვერც გამოჩნდებაო მაშასადამე რუსეთში ფედერაციის დამკვიდრება საეჭვო რომ არის ცხადიაო ორატორთა სიტყვების მოკლე შინაარსი ნ. ლორთქიფანიძემ ხელმეორედ გადასცა საზოგადოებას.

### თ ბ ი ლ ი ს ი.

— **სამასწავლებლო ინსტიტუტი.** თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში სწავლა გიორგობისთვის 15 დაიწყება. ინსტიტუტი სამ ფაკულტეტად არის დაყოფილი: სიტყვიერების, მატემატიკური და საბუნებისმეტყველო.

— **ქალაქის წყალ-სადენი.** ინჟინერმა გ. ქურდიანმა დაამთავრა გამორკვევა ბეტონის წყალსადენის გაკეთების და პროექტის შემუშავებას შეუდგა. ეს წყალსადენი დღე და ღამეში მისცემს ქალაქს 3 მილიონ ვედრა წყალს და ისე იქნება მოწყობილი, რომ წყალი გარეშე რაიმე ძალისა თავისით იმომდინარეებს შიგ. გამორკვევამ ჩინებულად ჩაიარა და საქმე მშვენივრად მოეწყობა, თუ საჭირო თანხის მხრივ არ იქნა დაბრკოლება.

— **მაგარი სასმელები.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ ღვინისა და მაგარ სასმელების ვაჭრობის მოწესრიგებას შევუდექით, მაგრამ დაბრკოლება გვაფერხებს, სახელდობრ ის, რომ ექიმების რეცეპტებით დიდძალ სპირტსა და კონიაკს თხოულობენო. ამის გამო კომიტეტი სთხოვს ექიმებს შეამცირონ რეცეპტებით მაგარი სასმელების გაწერა.

— **ივანე ნაკაშიძის სახელობის ფონდი.** ოქტომბრის 31-ს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა, მიიღოს თავ. ივანე ნაკაშიძის სახელობაზე დაარსებული სასტიპენდიო ფონდი 5360 მანეთი.

— **დამალული საქონელი მონასტერში.** ამიერ-კავკასიის სალდათა ცენტრმა დეპეშა მიიღო გუდაუთიდან სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარის კრიუჩკოვისაგან. ატყობინებს ცენტრს, რომ ათონის მონასტერში, დიდძალი საფართლეულო საქონელი და ტყავეულობა აღმოჩნდა დამალული. ბერები ამ საქონლის აღნუსხვის ნებას არ იძლევიან.

— **ქალაქის მოურავი ნ. ზ. ელიავა.** დაბრუნდა მოსკოვიდან იგი დასწრებია ქალთა კავშირთა ყრილობას, კრებაზე რევოლუციონური დემოკრატია ნაკლებად იყო. ახალგაზდა წარმომადგენლებს ქალთა კავშირისა მოუმზადებლობა ეჩნეოდა. არ იყო წაკითხული საფუძვლიანი მოხსენებანი. მთავარ კომიტეტის წევრებსაც არ გამოუჩენიათ ცოდნა და უნარი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო დასძინა ქალაქის თავმა, ვინაიდან ისინი როგორც დრო მოჭმულ წესწყობილების ნაშთნი ახალ ხანას ვერ შეჰგუებიან. კრებამ ამ კავშირის დემოკრატიზაცია მიიღო და ხარჯების შემცირება დაადგინა. მოსკოვიდან. ელიავა პეტროგრადში ჩასულა სესხის თაობაზე. მთავრობის წრეები თანაგრძნობით შეხვედრიან და შეჰპირებიან გრძელ ვადიან სესხს.

— **ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა** დაამტკიცა საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაციის ხარჯთ-აღრიცხვა 788890 მან.

— **სამოსწავლებლო ინსტიტუტში.** სწავლა 15 ნოემბრიდან დაიწყება ამ სასწავლებლის ნაციონალიზაციისათვის ჯერეც არაფერი გაკეთებულა.

— **საქალებო ინსტიტუტში.** ამ კვირაში დაიწყება სწავლა. პეტროგრადის საქალებო სასწავლებიდან გადმოდის აქ 100 მოწაფე ქალი ზოგი ამათგანი უკვე ჩამოვიდა.

— **თბილ. სასულიერო სემინარიაში** სწავლა გუშინ დაიწყო. ის მოწაფეები, რომელნიც დაიგვიანებენ და საპატიო მიზეზს არ წარმოადგენენ დაგვიანების შესახებ გამორიცხულ იქნებიან სასწავლებლიდან.

— **წყლის კრიზისი.** თბილისში უკანასკნელ დღეებში ქალაქის წყალსადენი საკმაო წყალს არ იძლევა. ამის მიზეზია მტკვრის დაპატარავება, რის გამო მილებში ცოტა წყალი უწევს. მევრ უბანში წყალი ნახევარ დღეობით არ აის ხოლმე. ამის გამო ქალაქის თვითმართველობის ინჟინრებმა გადაწყვიტეს სცენის წყლის მიცემა ისე მოაწყონ, რომ ყველა უბანს შეეძლოს დღეში საკმაო წყლის მიღება. ეს წესი იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც წასულ ზაფხულში იყო, მთელ წყალს ხან ერთ უბანში გაუშვებენ და ხან მეორეში.

### პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**ილიას საღამო ქ ჭიათურაში.** შაბათს, ნოემბრის 4-ს ქ. ჭიათურაში გაიმართება **ილიას საღამო.** მონაწილენი: ია ეკალაძე, ალექსანდრე თორაძე, დ. თომაშვილი, ილარიონ ქლენტი, ლადო მაჭავარიანი და სხ.

---

**გაზ. „ჩვენი ქვეყნის" ფონდის სასარგებლოდ.**

ქ. ახალ-სენაკის წევრებმა გაზ. „ჩვენი ქვეყნის" სასარგებლოდ შემოსწირეს 420 მ.

ხუთ-ხუთი თუმანი შემოსწირეს: პეტრე დგებუაძემ, გიორგი ცავამ და ნიკო შონიაშ.

ოცდა ხუთი მანეთი — მიხეილ ცომაიამ.

ოც-ოცი მანეთი: ვ. ჩხიკვიშვილმა, გრ. ძიძიგურმა, გრ. ხუნწარიამ, და მ. მისაბიშვილმა.

ათ-ათი მანეთი. ლ. ჯობავამ, ა. გვათუამ, ი. კუნწურეიშვილმა, დ. ცომაიამ, ბ. ჰანტურიამ, დ. ხორავამ, დ. ქვანიამ, გ. ქკადუამ, მ. სიჭინავამ, პლ. გვასალიამ ნ. სურგავამ, დ. შამათავამ, პ მაღნარაძემ, ბ. ყურაშვილმა;

ხუთ-ხუთი მანეთი: ვ. ხარბედიამ, ან. ბედიამ, მ. მისაბიშვილმა, ა. ძიგუამ, მ. დუდუჩავამ. თ. სალაყაიამ, გ. დგებუაძემ, თეოდოსია ხობიარიასამ, ა. ჩანტურიამ.

სამ-სამი მანეთი: დუშა ხობთარიასამ, და ს. სალაყაიამ.

1 მანეთი: ყ. გოგებაშვილმა და ნესტოროდ ჩიქობავამ.

სულ 428 მან. ხარჯი 28 მან. დარჩა 420 მანეთი.

რედაქცია გულითად მადლობას უძღვნის ქ. ახალ. სენაკის თანამოაზრეთ, რომელთაც არ დაიშურეს თავისი წვლილი ამ კრიტიკულ დროში გაზეთის ფონდისთვის.

**რედ.**

---

## დამფუძნებელი კრების საარჩევნო წესი

**საარჩევნო ბინები.**

დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნებში საარჩევნო ბინას. სიების შედგენის და მათ საბოლოოთ გამოცხადების შემდეგ ადგილობრივმა საარჩევნო დაწესებულებამ უნდა საჯაროდ გამოაცხადოს—სად, რა ადგილას და რომელ ბინაზედ მოხდება არჩევნები. საჭიროა ამრჩევლებმა იცოდენ წინდაწინვე სად უნდა გამოცხადდენ ხმის მისაცემათ. თუ ბინა უხერხულია, მაგ. დიდი სოფლის ბოლოშია, შეიძლება ბევრი ამომრჩეველი ვერ მივიდეს ხმის მისაცემათ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ არჩევნები საყოველთაოა და არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ქალებს, აუცილებლათ საჭირო იქნება საარჩევნო ბინა სოფლის შუაგულ ადგილას იყოს დანიშნული, რადგან ბევრი ძუძუ მწოვარა ბავშვის დედა ვერ შესძლებს შორის მანძილზე წასვლას და არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

ბინათ უნდა იყოს არჩეული ისეთი სახლი, სადაც ყველას ერთნაირი უფლებით შეეძლება შესვლა, სასურველია კერძო მესაკუთრეთა და განსაკუთრებით მემამულეთა სახლებში არ იყოს დანიშნული არჩევნები. შესაძლოა სიმძულვარე მესაკუთრის ან მემამულის ისეთი მძულვარე იყოს, მტრობა ისე დიდი, რომ ამომრჩეველმა ამჯობინოს ხმის დაკარგვა — მემამულის სახლში შესვლას. ყველაზე კარგი იქნება საარჩევნო ბინათ სოფლის სკოლის, კოოპერატივის და სხვა საზოგადო შენობის დანიშვნა.

საარჩევნო ბინა უნდა შესდგებოდეს

რამდენიმე ოთახისაგან და არა ნაკლებ ორისა. ერთს ოთახში იდგმება საარჩევნო ყუთი, სადაც ამომრჩეველი ხალხის თანადასწრებით მისცემს ხმას, მეორე კი სრულიად ცარიელი უნდა იყოს, რომ ამომრჩეველს შეეძლოს ამ ოთახში სხვის დაუსწრებლათ კონვერტში ჩასდოს ის საარჩევნო ბარათი, რომელიც მას სურს.

**საარჩევნო ბარათები.**

არჩევნები საზოგადოთ ხდება რამდენიმე წესით, ფარული ხმის მიცემა შეიძლება კენჭებით და ბარათებით. კენჭით ხმის მიცემის დროს, სდგას ყუთი ორის განყოფილებით, თეთრის და შავის ნაწილებით. ყუთს ზედ აწერია ვისთვისაც გროვდება მასში ხმები. ამომრჩეველს ეძლევა ერთი კენჭი და ამ კენჭს ყუთის თეთრს ან შავს განყოფილებაში ჩააგდებს. თუ სურს კანდიდატის არჩევა თეთრს განყოფილებაში ჩააგდებს. კენჭს—თუ გაშავება ტის არჩევა თეთრს განყოფილებაში სურს—შავს განყოფილებაში. მეორე სახე ფარულად ხმის მიცემისა არის ბარათები. ამ შემთხვევაში ამომრჩეველი ქაღალდზე სწერს იმ პირთა გვარებს, რომელნიც მას სურს და ყუთში ისე აგდებს. დამფუძნებელ კრების დეპუტატთა არჩევნები მოხდება უკანასკნელის წესით ე. ი. ბარათებით. თვითეულს ამომრჩეველს ექნება ბარათი, **კანდიდატურის გვარებით**· ამ ბარათს ჩასდებს კონვერტებში და ისე ჩააგდებს ყუთში. საარჩევნო ბარათებს დასტამბავს ცენტრ. კომისია და დაურიგებს ამომრჩევლებს საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო კომისიების შემწეობით. ეს ბარათები ამომრჩევლებმა უნდა ჩასდონ კონვერტში, დაბეჭდოს კონვერტები და ისე ჩააგდონ საარჩევნო ყუთში, მაგრამ ყველა კონვერტში არ შეიძლება საარჩევნო ბარითების ჩადება. თუ სარჩევნო კომისიის ბეჭედი არ აზის კონეერტს, მასში ჩაგდებული ბარათი არ ითვლება და ხმა დაიკარგება. შემდეგ კონვერტში უნდა იყოს უსათუოდ ერთი ბარათი, თუ კონვერტში აღმოჩნდება ორი ან მეტი ბარათი ხმა არ ითვლება და იკარგება. კონვერტებსაც, როგორც საარჩევნო ბარათებს, დაურიგებს ცენტრალური კომისია.

**საარჩევნო ყუთები.**

საარჩევნო ყუთი თვითეულ საარჩევნო უბანში უნდა იყოს. საარჩევნო უბნათ სოფელი არის გამოცხადებული, მაშასადამე დაახლოვებით რამდენი სოფელიც არის ამიერ-კავკასიაში, თითქმის იმდენივე საარჩევნო ყუთი უნდა იყოს. თუ დიდი სოფელია, რამდენიმე ათასი ამომრჩეველით, იქ ორი და სამი ყუთი იქნება საჭირო. საარჩევნო ყუთი შეიძლება იყოს რკინისა, ხისა, კარდონისა და სხვა. საარჩევნო ყუთს უნდა ჰქონდეს ზევით ასახდელი თავი და ამ თავში პატარა ხვრელი, რომელშიაც მხოლოდ ერთი კონვერტი ჩაეტევა. არჩევნების დაწყებისას ყუთის თავი ღია უნდა იყოს, რომ ამომრჩეველმა, თუ მოისურვებს, ნახოს, რომ ყუთი სრულიათ ცარიელია. დილის 8 საათზე საარჩევნო ყუთის თავი უნდა დაიხუროს და ბეჭედ დასმული დარჩება საარჩევნო შენობაში. საარჩევნო ბინაზე მისული ამომრჩეველი კონვერტს ბარათით ჩააგდებს საარჩევნო ყუთში იმ ხვრელიდან, რომელიც ექნება ყუთის ზედა ფიცარს, საარჩევნო ყუთათ შეიძლება გამოვიყენოთ ფიცრის ყუთები (იაშჩიკები). სკივრები და სხვა. საარჩევნო ყუთების შოვნა და დამზადება სასოფლო კომისიის მოვალეობაა. არჩევნები გაგრძელდება დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე სოფლათ, 9 საათიდან 9 საათამდე ქალაქებში.

---

# ორი მსხვერპლი.

დრამატიული ეტიუდი 1 მოქმედებად.

(გაგრძელება იხ. „ჩვენი ქვეყანა" № 164),

## გამოსვლა VII.

**ლიზა და მარო.**

**მარო.** ლიზა!

**ლიზა.** (შეკრთება და თავს წამოწევს)

**მარო.** შენ ისევ სტირი?

**ლიზა.** მეტი რა დამრჩენია, დაო!?..

**მარო.** მაკვირვებს შენი საქციელი, ლიზა!

**ლიზა.** მითხარ, მარო, რა ვქნა, რა ჩავიდინო? ნუ იფიქრებთ, რომ ცხოვრება არ მიყვარდეს. ადამიანისათვის ცხოვრება უდიდესი საჩუქარია ბუნებისა. იმიტომ ვშრომობთ, ვმეცადინეობთ, ვხარჯავთ ძალას, ენერგიას, რომ ცხოვრების დღენი გავაგძელოთ. ადამიანში არსებობს სურვილი მარადიული ყოფისა. ცხოვრება სილამაზით არის სავსე, თვით ცხოვრება-სილამაზეა და ყოველ ჩვენთაგანს სურს მუდამ ამ სილამაზეში ყოფნა: ნურავინ მეტყვის: ცხოვრება მძულს, ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი ვერაფერი ვპოვე—ეს სიცრუე იქნება, და ასეთი სიტყვები განსაკუთრებით ახალგაზრდებს სჩვევიათ მე კი იმათ არ ვეკუთვნი, მარო! მე მიყვარს ცხოვრება. მე მსურს სიცოცხლე, ყოველივე წუთი ჩემთვის ძვირფასია. მოიგონე, გინახავს როდისმე ცრემლი ჩემს თვალებზე? მოგისმენია ოდესმე ჩემი საყვედურის ხმა ცხოვრებაზე? არასოდეს! დღეს კი, აბა იფიქრე დაო, რა ყოფაში ვარ მე? შემომხედე, დამაკვირდი და იტყვი, რომ ჩემთვის აწი ამაოა ფიქრიც კი, უკეთეს მერმისზე. დიაღ, ამაოა. თქვენ კი არ გსურთ ჩემ სულიერ ტანჯვას ანგარიში გაუწიოთ. აი, ახლა იყო აქ სოსიკო...

**მარო.** მერე?

**ლიზა.** საცოდავი ბავში, ისეთი რწმუნებით გავიდა ამ ოთხიდან, თითქოს მე სხვას ვიჩუქე ჩემი სიყვარული თითქოს შევიძულე და დავივწყებას მივეც ჩვენი წარსული, ხედავ, მარო, როგორი ეჭვი იშვა ჩემი რაინდის არსებაში?

**მარო.** შენ რა უთხარი?

**ლიზა.** არაფერი, ყველაფერს მალე გაიგებ მეთქი. (პაუზის შემდეგ მაროს) მარო, დაო, შენ დამეთანხმე, რომ მოახლოვებულია უკანასკნელი წუთი ჩემი სიცოცხლისა. მე ვგრძნობ, მალე, სულ მალე დადგება ჟამი, როს უკანასკნელი დღე ჩემი ყოფისა უკანასკნელ სიტყვას იტყვის. თქვენც ყურადღებით მოისმინეთ ის სიტყვა. მე ხომ ყველანი მიყვარდით და ვგრძნობ, არც თქვენ გძულდით. მარო, მე თუ ვერ შევძელ თქმა, შენ მაინც უთხარი, აუხსენი სოსიკოს, რომ ქლექით დატყვევებულ საყვარელ არსებას არ შეეძლო მისი ყვავილივით გაშლის გზაზე მდგარი სიცოცხლის მოწამლვა, მოშხამვა. პირადი ბედნიერების შესაქმნელად სული ჩემი ჯალათობას ვერ გასწევს. შენ იცი, მარო, ჩვენი საიდუმლო, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი. ჩემში დღეს უფრო ღრმა და ძლიერია ეს გრძნობა. ვინ იცის, მე რომ ამ გრძნობიდან თავისუფალი ვიყო, ცარიელი იყოს სულის ფსკერი, იქნებ ტუჩებზე ღიმილით მომესმინა სიკვდილის ძახილის საზარელ ხმისთვის და უცრემლოდ ჩამებარებინა თავი მისი საშინელ აჩრდილისათვის, მაგრამ დღეს სიყვარულის ძალით დატყვევებული ვარ და მწვავს სიყვარულის დაკარგვა, რომელიც ბედნიერების სრულქმნილ სახით მქონდა წარმოდგენილი (ცრემლი ერევა).

**მარო.** ლიზა, კმარა, გეთაყვა. (ხელს მოხვევს და ამშვიდებს) გული მეუბნება, რომ შენი მდგომარეობა უიმედო არ არის. განა არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ შენზე უფრო დაუძლურებულნი კვლავ დაბრუნებიან სიცოცხლის გზას?!. ხომ ყოფილა ასეთი შემთხვევა?!.. შენ კი უიმედობას რად ეძლევი... ღმერთია მოწყალე... ეს მითხარი, ლიზა, სოსიკოს წასვლის ჟამს არაფერი უთქვამს?

**ლიზა** (თავს წამოწევს) ანთებული თვალებით და საშინელი სიტყვებით დამიხასიათა თავისი აწინდელი ცხოვრების სახე. „თავდავიწყებას უნდა მივეცე. მე მხოლოდ შხამიან ღვინოში, ლოთობაში ჩავკლავ ჩემს ტანჯვას, სიყვარულს და შენს სახესაცო, მაგრამ, მარო, ეს მე არ მაფიქრებს, რადგანაც ვიცი, მწამს, რომ ჩემი მიზეზით სოსიკოს გარდაქმნილი ცხოვრება, მხოლოდ წუთიერი იქნება. ის სულ მალე შეურიგდება იმ აზრს, რომ საჭიროა ძიება სულის ახალი მეგობრისა. ჩემთვის კი... (უიმედოთ ხელს გააქნევს და ხელოვნურად გაიღიმებს,)

**მარო.** კმარა წუხილი, ლიზა. დედამ არ ნახოს შენი ცრემლი, თორემ ხომ იცი ვერ აიტანს.

**ლიზა** (სწრაფ თავს ასწევს) შენ მართალი ხარ, დაო! ცრემლი დაკარგულს ვერ დააბრუნებს, ქვითინი დაღუპულს ვერ აღადგენს.

**მარო** ჰო და ასე, ძველებურად კვლავ მხიარულობას უნდა მისცე ხელთ შენი თავი, ხომ იცი როგორ გვიყვარდა ყველას შენი ოხუნჯობა, სიცილი, სიმღერა.

**ლიზა** ნუ მომაგონებ, მარო. ეს იყო დიად წარსულში, რომლის დაბრუნება შეუძლებელია. დღეს საშინელ სახის აწმყოსთან გვაქვს საქმე. მაგრამ, ეჰ, დავანებოთ ამას თავი... ნეტა ჩვენები სად არიან? (ამ დროს კულისებში ისმის კოტეს ხმა: „მე მოვიტან, მამა, მე")

## გამოსვლა VIII.

**ლიზა, მარო და კოტე.**

**კოტე** (შემორბის სცენაზე და რა ნახავს ლიზას შეჩერდება) უი, ლიზა მოსულა.

**ლიზა.** მოდმი ჩემთან, ჰკოტიკო. (კოტე მივა დასთან, ლიზა კოცნის) ახლა მაროს აკოცე. (მაროც ჰკოცნის). რა გინდა?

**კოტე** მამამ ეს მომიტანეო (საფერფლეს აიღებს).

**ლიზა** დედა აქ არის?

**კოტე** დედაც, მამაც და ბიძიაც.

**ლიზა** რომელი ბიძია, გენაცვალე?

**კოტე** აი, მამასავით რომ აცვია.

**ლიზა** იორამი?

**კოტე** არ ვიცი. მე წაველ და ვეტყვი, რომ თქვენ აქ ხართ. (გარბის ყვირილით: „დედა, მამა, ლიზა მოვიდა").

**მარო.** ლიზა, თუ და ხარ, ნუ მოიწყენ და მშობლებს ცრემლს ნუ აჩვენებ.

**ლიზა** კარგი. დეე, სიცოცხლის უკანასკნელი დღეც ისე დასრულდეს, როგორც ახალგაზრდობის პირველი დღე დაიწყო. (ხელოვნურად მხიარულებას ეძლევა)

## გამოსვლა IX

**ლიზა, მარო, ქეთო, ბესარიონი და იორამი.**

**ლიზა** აი, ჩვენც აქა ვართ. (ლიზა და მარო მიეგებებიან)

**ქეთო** როდის მოსულხარით, შვილებო?

**ლიზა** უუ, ჩვენ დიდი ხანია აქა ვართ, ბევრი ვილაპარაკეთ, ერთმანეთს საიდუმლოებანი გავუზიარეთ. (რა ხედავენ ლიზას მხიარულებას ყველანი სიხარულს ეძლევიან)

**ბესარიონ** მერე ჩვენ რად არ შეგვატყობინეთ, ა?

**ლიზა** თქვენ ხომ ხელს შეგვიშლიდით.

**მარო** მერე რა საჭიროა მოხუცებულებისთვის ახალგაზრდების საიდუმლოების ცნობა?

**აორამი** ყაჩაღ, მართალია, მართალი. (ყველანი იცინიან)

**ბესარიონ** ქეთო, დღეს სადილად რა გვაქვს?

**ქეთო** ყველაფერი, რაც ლიზას უყვარს!

**ლიზა** კი მაგრამ, იქნებ იორამს ის არ უყვარს, დედა, რაც მე?

**იორამი** მაგაზე ნუ შეწუხდებით. მშიერი კუჭი ყველაფერს მიირთმევს, არაფერზე უარს არ იტყვის.

**ლიზა** მაშასადამე, დედა, ძია იორამის კუჭს თურმე შია. (საერთო სიცილი)

**ბესარიონ** აქედან კი ცხადია, სადილს დაჩქარება უნდა.

**ქეთო** ეხლავე, ეხლავე, მე წაველ და სადილს დავაჩქარებინებ. თქვენ კი მანამდი იმხიარულეთ.

**ლიზა** არა, დედა, შენ ნუ შეწუხდები. (კართან მივა და კოტეს ეძახის: კოტე, აქ მოდი გენაცვალე.)

## გამოსვლა X

**იგინივე და კოტე.**

**ლიზა** კოტე, წადი „ქუხნაში" და უთხარი სადილი დააჩქარონ, რადგანაც ძია იორამს ძლიერ შია. (საერთო სიცილი)

**კოტე** ძია, მართლა გშია? (ყველანი იცინიან. კოტე გარბის).

**ლიზა** სადილობამდი კი მე მოგიყვებით მეტად სასაცილო ამბავს ჩემი მოწაფეობიდან... ხომ მომისმენთ?

**იორამი და მარო.** სიამოვნებით.

**ქეთო.** ბევრი ლაპარაკმა რომ გაწყინოს, შვილო?

**ლიზა.** არა, დედა, თუმცა სულ ერთია... მაშ მისმენთ არა?

**ყველანი.** გისმენთ, გისმენთ!..

**ლიზა.** მერე ძია, ეს ამბავი ისეთი სასაცილოა, ისეთი სასაცილო, რომ მაშინვე შიმშილს დაგავიწყებს. (ყველანი იცინიან; ამ დროს გარედან ისმის სიმღერა: „სწრაფია ვით ტალღა"—რომელში უკვე ნაღველი არ გამოკრთის. ხმებიც შეთანხმებული არ არის. ლიზა რა მოისმენს ამ ხმას წამს გაშეშდება, ფერი ეცვლება. ყველანი გაკვირვებით უცქერენ მას, სიჩუმეა, პაუზა.)

## გამოსვლა XI.

**იგინივე და კოტე.**

**კოტე.** (შემოდის) ეხლავე... (რა ნახეს ამ სურათს ისეც გაშეშდება. დიდ ხანს გჰელდება ეს სცენა, ვერავინ ბედავს სიტყვის თქმას. სიმღერა კვლავ ისმის. ლიზა თავს ცუდათ გრძნობს).

**ქეთო.** ლიზა, შვილო, რა მოგივიდა?

**ლიზა.** (თვალს გაახელს) დედა!

**ქეთო.** რა იყო, გენაცვალე?

**ლიზა.** თავს ცუდათ ვგრძნობ, სული მეხუთება.

**ბესარიონ** ლიზა, რას ამბობ, შვილო რას? ქეთო, აბა საწოლი გაშალე ჩქარა, დავაწვინოთ, იორამ, გეთაყვა, ექიმს დაუძახე.

**ლიზა** სუ... ყველანი აქ იყავით. ამაო ცდა. უკურნებელმა სენმა თავისი ქნა, ასეთი ყოფილა კანონი ბუნებისა... აჰ, სული მეხუთება, ჰაერი არ მყოფნის, ფანჯრები გაიღე. (იმას გაშლის და მკერდს გაიღებს).

**ბესარიონ.** ლიზა, შვილო...

**ლიზა.** სიტყვა მეტია მამა... (სიმღერის ხმა თანდათან ახლოვდება. შემდეგ ისმის სოსიკოს ხმა: „მხიარული რამ. მხიარული". გიტარა და მანდალინებზე ნაურის ლეკურს უკრავენ და ხორო ხმებს აყოლებს) უკვე გარდაქმნილა ჩემი სოსიკო... მარო იცანი ხმა?

**მარო.** ვერა.

**ლიზა.** ეს გარდაქმნილი სოსიკოა. (ნელის ნაბიჯით დედის და მაროს დახმარებით ფანჯარასთან მივა, უკვე ძლივს ნაცემავით შეჰკივლებს და უკან დაიხევს) აჰ!.. (გული უწუხს, ყველანი მიეშველებიან. სიმღერა გარედან სულ ახლო ისმის. ლიზა თვალებ გაშტერებული ერთ წერტილს უყურებს). აქეთ მოდის... მე უნდა მნახოს, აჰ, მიშველეთ, მიშველეთ... (ყველანი მოცვინდებიან, მათ ხელში ლიზას გვამი ცივდება, ტახტზე დაასვენებენ. სტირიან ყველანი, კოტე დის სარეცელთან მუხლებზე დგას და ქვითინებს. ამავე დროს გარედან სიმღერით შემოიჭრება მთვრალი სოსიკო, რა ნახავს სურათს შედგება და თვალებ გაშტერებული ცხედარს უყურებს შორით, ორკესტრის და სიმღერის ხმა გარედან ისევ ისმის.)

## გამოსვლა XII.

**იგინივე და სოსიკო.**

**სოსიკო.** (ფანჯარას მივარდება და შეკივლებს) ჰეი. ძმანო, შესწყვიტეთ ზეიმი. (გარედან სიმღერის ხმა არ ცხრება, სოსიკო შეშლ ვით ხარხარებს) ხა, ხა, ხა, აქ სტირიან, იქ კი თავდავიწყებით მხიარულობენ, ზეიმობენ. გარდაქმნილი სოსიკომ ტირილი არ იცის... სიცილი, სიცილია საჭირო, ხა, ხა, ხა. (ჭკუიდან შეიშლება და სულ ხარხარებს, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდება ლიზას სარეცელს, თვალებ გაშტერებული ერთ წერტილს შესცქერის, დაეცემა მუხლებზე და ხარხარებს) ხა, ხა, ხა. (გარედან ხმა თანდათან ნელდება).

ფარდა.

მ. ღვამიჩავა.

ქ. სენაკი. ოქტომბერი.

---

# ჩაჩნების რესპუბლიკა

გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ჩაჩნებს იმედი დაკარგვიათ, რომ დროებით მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებმა შესძლონ ებრძოლონ გამეფებულს ანარქიას და ამიტომ დაუდგენიათ 10 ოქტომბერს საკუთარი კომიტეტი რევოლუციის დასაცველად კომიტეტი ათი წევრისაგან შესდგება მუტუშევის თავმჯდომარეობით (იგი დამფუძნებელ კრებაში კანდიდატათაა დასახელებული ჩაჩნების მიერ).

პირველ სხდომაზე კომიტეტმა დაადგინა:

1) ჩაჩნების აღმასრულებელი კომიტეტი მართავს მთელს ჩაჩანთა ერს.

2) გროზნის და ვედენის ოლქებში და თერგის ოლქში არსდება საოლქო კომიტეტი და კომისარები.

თავის ადგილობრივ საქმეებს ეს კომიტეტები განაგებენ დამოუკიდებლად, საერთო საქმეები კი, რომელნიც შეეხებიან მთელს ჩაჩანთა ერს ექვემდებარებიან აღმასრულებელს კომიტეტს.

3) ოლქობრივ არსდება გლეხთა საბჭოები და სამიწადმოქმედო კომიტეტები.

კომიტეტებში უნდა აირჩეს უზნიდან ორ ორი კაცი, სულ ოცი.

4) საოლქო კომიტეტებმა ერთი თვის განმავლობაში უნდა მოაწყოს სასოფლო და რაიონის კომიტეტები.

5) ყოველ ოლქში არსდება სასურსათო კომიტეტი.

6) შემოღებულ იქნას სავალდებულოდ სასამართლო შარიატით.

7) არსდება ჩაჩანთა ეროვნული ბანკი.

8) ყოველი ბრძანება უმაღლეს ორგანოთა სავალდებულოა ქვემდებარეთათვის და აუსრულებლობა სასტიკად დაისჯება.

9) დამზადდეს მოხსენება განათლების შესახებ.

ყოველივე პროექტი წარუდგინება დასამტკიცებლად ეროვნულს ყრილობას, რომელიც დანიშნული იყო 25 ოქტომბერს. (...)

---

## მცირე შენიშვნა.

როგორც ქუთაისის გაზეთებში იყო მოხსენებული, დანარჩევი საქონლის გაყიდვა ამ მოკლე ხანში მოხდება და მიეცემა მხოლოდ ღარიბ მცხოვრებლებს და ჯარის კაცების ოჯახობასაო. მაგრამ ჩვენის აზრით ეს გადაწყვეტილება ვერ არის სამართლიანი და აი რატომ: დანარჩევ საქონელში ბევრი ისეთი ძვირფასი ნივთებია, როგორიც არის მაგალითად აბრეშუმეულობა, შალეულობა, მაუდი, დრაფი, არშიები, ქალის და კაცის ძვირფასი ფეხსაცმელები, ოქროს და ვერცხლის საათები, ბეჭდები და სხვა, რომ ღარიბი მცხოვრებლები ყველა ამას ვერც-კი გამოიყენებენ და იძულებული იქნებიან ისევ შეძლებულ კლასებს მიჰყიდონ მოგებით, ამიტომ ჩვენის აზრით უფრო სამართლიანი იქნება, რომ ღარიბს მცხოვრებლებს ძვირფასი საქონლის მაგიერ მიეცეს რაც მათთვის მართლა საჭიროა, მაგალითად: ჩითეულობა, შალი, პირკალი, ნარმა, ფეხსაცმელები (არა ძვირფასი) და სხვა სათფური.—ხოლო ძვირფასი საქონელი და ნივთები კი უფრო აწეულ ფასებში უნდა მიეცეს ბარათებით ყველა მოქალაქეს, ვისაც სურვილი ექნება საქონლის ყიდვისა.—ამას გარდა მეტათ სამართლიანი იქნება, თუ გაყიდული დანარჩევი ნივთებიდან შემოსული ფული ოცი პროცენტის გამოკლებით თავის: პატრონებს დაუბრუნდებოთ, რათა არავის მიეცეს საბაბი სთქვას: რა მგელს შევუჭამივართ და რა მგლისფერ მურასაო.—რაც შეეხება იმას, თუ როგორ გაიგოს კომისიამ, რომელი საქონელი, გინდ ნივთი, რომელ მაღაზიის პატრონს ეკუთვნისო, ეს შეიძლება გავიგოთ ამ ნაირათ: ცნობილია, რომ ყოველ ნაჭერ საქონელზე, გინდ თითეულ ნივთზე პატრონს თავის საკუთარი ხელით უწერია ნომერი და ფასი თავის საქონლისა, ასევე უწერია ყველას მაღაზიის დავთარში და თუ ვაჭრები წარმოადგენენ დავთრებს და თავისი ხელის ნაწერებს შეუფარდებენ იმ ხელნაწერებს, რომელიც ყოველ ნივთზე იქნება აღნიშნული, მაშინ ადვილათ გაიგება, თუ რომელი ნაჭერი საქონლისა ვის საკუთრებას შეადგენს და მაშასადამე ფულიც მას უნდა მიეცეს.

ვასილ მახხულია.

---

რედაქტორ-გამომცემელი დ. ბ. კვირკელია.

---


## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 7 ს. 47 წ. |
| „ | საღამ. | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 55 „ |
| „ | ღამის | 11 ს. 42 „ |
| „ | დილის | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | დილის | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 6 ს. „ |
| | დილის | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | დილის | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | ღამის | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 1 „ |
| „ | დღით | 1 ს. 40 „ |
| „ | დილის | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | დილის | 7 ს. 57 „ |
| | დღით | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | დღით | 4 ს. 40 „ |

## ექიმები

**ა. მ. ახათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს,
(სისხლში უსხმს „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.


ეროვნული ბიბლიოთეკა